წინ მაცქერლის დარად

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 16 მარტი.

“დინამო” (თბილისი) – “სპარტაკი” (მოსკოვი) 0:0.

“დინამო”: ქანთარია, პაიკიძე, ჩივაძე, თევზაძე, არზიანი, სიჭინავა, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ცაავა, შენგელია.

“სპარტაკი”: დასაევი, სოჩნოვი, პოზდნიაკოვი, ბაზულევი, ბუბნოვი, კუზნეცოვი, გლადილინი, მოროზოვი, გავრილოვი, ჩერენკოვი, როდიონოვი.

46–ე წთ. შენგელიას ნაცვლად ჟვანია, 58–ე წთ. ცაავას ნაცვლად ჟორჟიკაშვილი. 62 წთ. გავრილოვის ნაცვლად რუსიაევი.

მსაჯი: ვალერი აბგოლცი (ალმა–ათა).

33–ე წთ. მინდვრიდან გააძევეს გუცაევი და პოზდნიაკოვი.

კუთხურები: 4:2 (2:2).

დაჯარიმდნენ: დინამოელები – 13 (6), სპარტაკელები – 18 (10).

კარში დარტყმები 12:12 (8:9), ზუსტი: 2:7 (0:6), საჯარიმო მოედნიდან 0:4 (0:4).

რა თქმა უნდა, ქულები და ადგილი თავისთავად, მაგრამ დღეს “დინამოს” თაყვანისმცემლებს ალბათ უფრო ის აინტერესებთ, რა ახალ შესაძლებლობებს ავლენს გუნდი მატჩიდან მატჩამდე, როგორი პერსპექტივა ჩანს სახვალიოდ, და საერთოდ, წინ მიდის ეს კოლექტივი თუ ერთ ადგილს ტკეპნის.

ქულების თვლა ყველამ ვიცით, წმინდა საფეხბურთო თვალსაზრისით თბილისის “დინამოს” შეფასება კი ცოტა საძნელო საქმეა. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც, ჩემპიონატი ხომ ეს–ეს არის დაიწყო.

და მაინც, ნებისმიერი მატჩი ყოველთვის იძლევა რაღაცის თქმის საშუალებას, მითხველისაგან ნებას ავიღებ და კონკრეტულ შემთხვევაში სათქმელისათვის მხოლოდ პირველ ტაიმს მივმართავ, რადგან მეორე ორმოცდახუთი წუთი უფრო შედეგს შეგუებული მეტოქეების დავას წააგავდა. ამ აზრის გასამაგრებლად მოვიშველიებ მატჩის ერთ–ერთ ტექნიკურ მონაცემს: მეორე ტაიმში როგორც მასპინძლებმა ისე სტუმრებმა სულ ოთხ–ოთხჯერ დაარტყეს კარისაკენ.

თამაში ორივე მეტოქემ ძალზე აგრესიულად დაიწყო და მერე მთელი ტაიმიც ასე გაგრძელდა. ასეთი ფეხბურთი ყოველთვის კარგი სანახავია, აზარტი ამშვენებს ნებისმიერ სპორტულ თამაშს, მაგრამ, ბუნებრივია, ზომა–წონით. ვფიქრობ, იმთავითვე შეცდა მატჩის არბიტრი, როცა დროზე არ აღკვეთა, ცოტა არ იყოს, გახშირებული ჯარიმები. შედეგი ორივე გუნდისთვის არასახარბიელო გამოდგა – მინდვრიდან გაძევებულ გუცაევსა და პოზდნიაკოვს რამდენიმე თამაშის გამოტოვება მოუწევთ. ამას გარდა, დაშავდნენ გუცაევი და შენგელია. ბევრი ვერაფერი სასიამოვნო ფაქტია და სწორედ ამიტომაც ვფიქრობ, რომ ისეთ გამოცდილ ფეხბურთელს როგორიც გუცაევია, მიუხედავად მცველთა მხრიდან უხეში თამაშისა (ბოლოს და ბოლოს ჩვენი ფორვარდისთვის ეს ხომ ახალი ხილი არ არის), მეტი თავდაჭერა უნდა გამოეჩინა.

თუმცა დავუბრუნდეთ მატჩს.

“სპარტაკი” მისთვის ჩვეული მანერით გადმოდიოდა შეტევაზე, მაგრამ ქვეყნის ერთ–ერთი საუკეთესო გუნდის იერიშებმა საგრძნობლად დაკარგეს სიმძაფრე მას შემდეგ, რაც თბილისელებმა თითქმის მთლიანად გამოთიშეს თამაშიდან გავრილოვი,

თან მასპინძელთა ცენტრიც (დაცვაც, ნახევარდაცვაც) საიმედოდ გამოიყურებოდა. ჩივაძე, თევზაძე და სულაქველიძე, ვფიქრობ, საუკეთესონი იყვნენ ამ მატჩში.

დაახლოებით იმავე მიზეზის გამო შედეგიანი დასასრული ვერ პოვა "დინამოს" იერიშებმაც. ვერ გადაწყდა თავდასხმისა და ნახევარდაცვის დაკავშირების პრობლემა – სპარტაკელი ბუბნოვი მოუცილებლად და საკმაო წარმატებითაც დარაჯობდა ცაავას. აი, ამ ნაკლმა როგორც ერთი ისე მეორე გუნდის თამაშში განაპირობა კიდეც ნულოვანი ფრე.

ცალკე მინდა ვთქვა მთელი ჩვენი გუნდის თავგამოდებულ თამაშზე. ასეთი რამ იქნებ ბუნებრივიც უნდა იყოს, მაგრამ სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად ვყოფილვართ საპირისპირო ფაქტის მომსწრენიც. ასეა თუ ისე, "სპარტაკთან" თბილისელებმა ითამაშეს ისე, როგორც უნდა თამაშობდეს წინ მაცქერალი გუნდი.

და ბოლოს. მიუხედავად იმისა, რომ თბილისელებმა ქულა დაკარგეს, მიუხედავად იმისა, რომ გუშინდელ მატჩში "სპარტაკის" გატეხვა მათ ძალას აღემატებოდა, მეტოქისა და ზემოთქმული ფაქტორების გათვალისწინებით, "დინამომ" ეს შეხვედრა, ჩემი აზრით, ჩემპიონატის პირველ მატჩზე უკეთ ჩაატარა.

ირაკლი ბერიაშვილი.

მატჩის შემდეგ "დინამოსა" და "სპარტაკის" უფროსმა მწვრთნელებმა დავით ყიფიანმა და კონსტანტინ ბესკოვმა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში თქვეს:

დავით ყიფიანი: შეხვედრა საკმაოდ საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა. "სპარტაკისთვის" იგი, ჩემი აზრით, შესანიშნავი რეპეტიცია იყო ბრიუსელის "ანდერლექტთან" განმეორებითი მატჩის წინ, რომელშიც მოსკოველებს სულითა და გულით ვუსურვებ წარმატებას. არ შემიძლია არ აღვნიშნო შეხვედრის არბიტრის ვალერი აბგოლცის უაღრესად ცუდი მსაჯობა. ამით სულაც არ მინდა გავამართლო გაძევებული ფეხბურთელები პოზდნიაკოვი და გუცაევი, რომლებიც სპორტსმენებისთვის შეუფერებლად მოიქცნენ, რაც გუნდის კრებაზე საგანგებო მსჯელობის საგანი გახდება. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ის, რაც მოხდა, არ მოხდებოდა, მატჩი კვალიფიციურ, გამოცდილ არბიტრს რომ ემსაჯა.

მიუხედავად იმისა, რომ უკეთეს შედეგს ველოდით, ჩვენს ბიჭებს სასაყვედურო მაინცდამაინც ბევრი არაფერი აქვთ: ყოველი მათგანი ცდილობდა ზუსტად შეესრულებინა მწვრთნელთა დარიგება. ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე დინამოელთა ფიზიკური მომზადებაც დამაკმაყოფილებელია – მათ მთელი მატჩი საკმაოდ თანაბრად, მონდომებით ითამაშეს.

კონსტანტინ ბესკოვი: ძალიან მიჭირს განვლილ შეხვედრაზე საუბარი. ჩვენთვის იგი ყოველმხრივ მნიშვნელოვანი რომ იყო, ეს დიდ ახსნა–განმარტებას არ საჭიროებს. მაგრამ თამაშისგან ვერ მივიღეთ ის კმაყოფილება, რომელსაც ველოდით. პირველი ტაიმის ზოგიერთ ეპიზოდში ფეხბურთელთა მოქმედება აშკარად გასცდა წმინდა სპორტული პაექრობის ჩარჩოებს, ამან კი არ შეიძლება არ დაგვაფიქროს. საერთოდ, "ჭუჭყიანი" თამაშის უპირველესი მტერი ვარ და სამწუხაროა, რომ მსაჯმა უხეშობა თავიდანვე არ აღკვეთა.

დ. კ.

“ლელო”, 17 მარტი, 1984 წ.

დუბლიორთა მატჩი

15 მარტს თბილისის “ლოკომოტივის” სტადიონზე გაიმართა უმაღლესი ლიგის დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირის კალენდარული მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის ”დინამო” და მოსკოვის “სპარტაკი”.

მატჩი დამთავრდა ფრედ – 1:1. თბილისელთაგან ბურთი გაიტანა ჟორდანიამ.

დინამოელთა შემადგენლობა: აბუსერიძე, კეტაშვილი, ჭილაია (ჭედია), უკლება, მაისურაძე, ჟორდანია, გოგრიჭიანი (მიქაბერიძე), ჩიქოვანი, გურული, ჟვანია (ქოჩქიანი), ჩქარეული.

“ლელო”, 17 მარტი, 1984 წ.